ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41261484**
თარიღი:**28/05/2026**

შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთინების'' 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი "24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2025 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ჯუმბერი ტყებუჩავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სენაკის მუნიციპალიტეტი

SENAKI MUNICIPALITY

შპს ამბულატორიულ - პოლიკლინიკური გაერთიანება

LTD AMBULATORY POLYCLINIC UNION

სენაკი, შ.რუსთაველის ქ. N 114; ტ: 0413276834; 0413276846 ; Rustaveli St N 114; Senaki, 4100 T: 0413276834; 0413276846

N 112

11.05.2026 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ვახტანგ გადელიას

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორის 2025 წლის ანგარიში

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება ემსახურება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულ 7700 ბენეფიციარს, მ.შ. ძირითადი კონტიგენტი შეადგენს 4940, დამატებითი კონტიგენტი - 2760, ემსახურება აგრეთვე კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვეულ პირებს და მეზობელი რაიონებიდან მოსულ მოქალაქეებს.

შპს აბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში მუშაობს შემდეგი კაბინეტები: 2 ენდოკრინოლოგიური, ონკოლოგიური, ქირურგიული, ტრავმატოლოგიური, დერმატო-ვენეროლოგიური, რევმატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, 4 ოჯახის ექიმის კაბინეტი, გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, გინეკოლოგიური, კარდიოლოგიური, რადიოლოგიის (ექოსკოპია), ტუბ-კაბინეტი, ოტორინოლარინგოლოგიური, უროლოგიური, ნევროლოგიური, ნეფროლოგიური. ჩვენს დაწესებულებაში პირველ სართულზე იჯარის წესით არის განთავსებული ლაბორატორია შპს „ბიო-ლაბი 2024", რომელიც აღჭურვილია ბოლო ტიპის სამედიცინო მოწყობილობებით და ჩვენს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. რენტგენოლოგიურ მომსახურებაზე დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჩვენს დაწესებულებასთან ძალიან ახლოს მდებარე კლინიკასთან შპს „ არქიმედეს კლინიკა".

დაწესებულებაში მომუშავე ყველა ექიმი არის ლიცენზირებული, სულ მომსახურე პერსონალი შეადგენს 44, მ.შ. ექიმი- თერაპევტი - 3, ოჯახის ექიმი - 1, ენდოკრინოლოგი - 2, ნევროლოგი - 1, ონკოლოგი - 1, ქირურგი - 1, ტრავმატოლოგი - 1, ოტორინოლარინგოლოგი - 1, რევმატოლოგი - 1, ოფთალმოლოგი - 1, გინეკოლოგი - 1, უროლოგი - 1, ფტიზიატრი - 1, ნეფროლოგი - 1, ფსიქიატრი - 1, რადიოლოგი (ექოსკოპია) – 1, კარდიოლოგი - 1. ექთანი - 12, სანიტარი - 1, მართვის აპარატი - 7, მომსახურე პერსონალი - 4.

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება გამორჩეულია სხვა სამედიცინო დაწესებულებებისგან მასში მოქმედი სხვადასხვა პროგრამებით:

1. გეგმიური ამბულატორიული მომსახურება.
2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება.
3. C ჰეპატიტის სკრინინგის პროგრამა.
4. C ჰეპატიტის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.
5. ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა.
6. სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზა.
7. სამედიცინო სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის პროგრამა.
8. სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროგრამა.

9. B ჰეპატიტის ვაქცინაციის პროგრამა.
10. წწყ ვაქცინაციის პროგრამა.

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების მომსახურების მიმღებები არიან #36 (არასაპენსიო ასაკის), #165 (საპენსიო ასაკის) და # 218(მიზნობრივი ჯგუფი - შეჭირვებულები) დადგენილებით დაზღვეულები.

2025 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია 9541 მოქალაქეს, მ.შ. დაავადებით - 6059. C ჰეპატიტზე სკრინინგი ჩაუტარდა 104 მოქალაქეს, სეზონური გრიპის ვაქცინაცია ჩაუტარდა 411 მოქალაქეს, B ჰეპატიტის ვაქცინაცია ჩაუტარდა 10 მოქალაქეს, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება გაეწია 2985 მოქალაქეს, C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით იმკურნალა 15 მოქალაქემ.

2025 წელს დაწესებულებამ წარმატებით გაიარა შუალედური შემოწმება ,, ISO 9001" სერტიფიკატისთვის.

2025 წელს შპს ა/პ გაერთიანების შემოსავალმა შეადგინა 492846 ლარი, მ.შ.

1. საყოველთაო სადაზღვევო პროგრამებით მომსახურეობა - 148685ლ.
2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - 276531ლ.
3. ფტიზიატრია - 15747ლ.
4. შიდა სტანდარტი - 44439ლ.
5. C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა - 5467ლ.
6. გრიპის ვაქცინაცია - 141ლ.
7. შპს ,,დიომედი" – 600ლ.
8. იჯარა - 1236ლ.

2025 წელს გახარჯულია 484859 ლარი, მ.შ.

1. ხელფასი - 375854ლ.
2. ცვეთა - 17767ლ.
3. ნედლეული და მასალები - 15543ლ.
4. შპს ,,ბიო ლაბი 2024" – 28796ლ.
5. სხვა ხარჯები - 46899ლ.

მოგებამ შეადგინა 7987 ლარი.

შპს ამბულატორიულ - პოლიკლინიკური გაერთიანება გეგმავს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით 2026 წელს შეძინოს ციფრული რენტგენის აპარატი და დოზიმეტრი, დიზელის გენერატორი 30W-იანი, 2026 წელს დაწესებულებამ ისევ უნდა გაიაროს შუალედური შემოწმება ,,ISO 9001" სერტიფიკატისთვის, უნდა მოხდეს აპარატურების დაკალიბრება, სასმელი წყლის ნიმუშების შემოწმება, მედიკამენტების და სახარჯი მასალების შეძენა, ეს ყველაფერი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს ისევ კეთდება ერთი მიზნისთვის , მივაწოდოთ მოსახლეობას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების
დირექტორი: /მ. ბოჯგუა/